

რამდენადაც მისასაღმებელია ეს აკადემიური „ექსპორტი“, რომელსაც ქართული ენობრივ-კულტურული სივრციდან გერმანულ-ევროპულ აკადემიურ სივრცეში გააქვს საქართველო როგორც აუთვისებელი (და დასაპატრონებელი?) „მასალა“, იმდენადვე სასურველი იქნებოდა ქართულ ენაზე მსგავსი ტიპის, უახლესი, კლასიკური თუ ექსპერიმენტული მეთოდოლოგიებით აღჭურვილი, მეცნიერული ხასიათის ვრცელი კვლევების გამოცემა, რომლებსაც აღარ მოუწევდათ, თითო სტატიას დაჯერებოდნენ ან, კომპრომისის სახით, ბლოგებსა თუ ესეისტური ჟანრის სტატიებს შორის გაფანტულიყვნენ ქართულ სივრცეში ელემენტარული რეცეფციის მისაღწევად. ხოლო, რადგან თვითონ აკადემიური სივრცე საქართველოში ჯერაც ერთგვარი ყამირი მიწაა პროდუქციასა და რეცეფციას შორის მწყობრი და აქტიური სამუშაო სისტემის თვალსაზრისით, სწორედ ამგვარი კვლევების ამოცანა და პასუხისმგებლობა იქნებოდა ხსენებული სივრცის მოწესრიგება.

ლუკა ნახუცრიშვილი

***Alain de Botton. Religion for Atheists: A Non-Believer's Guide to the Uses of Religion. Penguin books 2012, 320 p.***

ციურიხში (შვეიცარია) ებრაელთა ოჯახში დაბადებული აღენ დე ბოტონი ამჟამად ბრიტანეთში ცხოვრობს. ფილოსოფიის მაგისტრის ხარისხი მან ლონდონის სამეფო კოლეჯში მიიღო, რის შემდეგაც ჰარვარდის უნივერსიტეტშიც იწყებს სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას ფრანგულ ფილოსოფიაში, თუმცა მან იქ მუშაობა მიატოვა, მიიჩნია რა, რომ ფართო პუბლიკისთვის პოპულარულ ენაზე წიგნების წერა უფრო ღირებული იქნებოდა.

დე ბოტონი აფუძნებს ე. წ. „ცხოვრების სკოლას“. მისი ორგანიზებით გამოდის წიგნების სერია, რომელთა მიზანია როგორც ადამიანთა დახმარება სხვადასხვა ცხოვრებისეული სირთულეების დაძლევაში, ისე, ზოგადად, გარესამყაროს ახლებურ აღქმასა და გააზრებაში. აღენს სურს, დაამსხვრიოს სტერეოტიპი, რომ ე.წ. *self-help books* მხოლოდ სუსტ და გულუბრყვილო ადამიანებს სჭირდებათ. მისი აზრით, ყველა ადამიანი უმწეო და მოწყლვადია ცხოვრების ყველა სფეროში. ამიტომაც, სერიის ფარგლებში მოცემულია სხვადასხვა თემაზე (კარიერა, პირადი ცხოვრება, მოგზაურობა, ემოციური სიმწიფე, სექსი, ფინანსები...) დაწერილი წიგნი, რომელსაც შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების ავტორი ჰყავს. მაგალითად, წიგნს სახელწოდებით

*How to be alone* წერს სიმარტოვეში, ლამის განდევილივით ცხოვრების გამოცდილების მქონე ავტორი.

ამავე მიმართულებით საკუთრივ დე ბოტონის ავტორობითაც გამოიცა რამდენიმე წიგნი. მაგალითად, „ნუგეში ფილოსოფიისგან“ (2000), „მოგზაურობის ხელოვნება“ (2002), „ბედნიერების არქიტექტურა“ (2006), „ხელოვნება, როგორც თერაპია“ (2013) და სხვა. დე ბოტონი რადიო და სატელევიზიო სივრცეებსაც აქტიურად იყენებს „უფრო კეთილშობილი ფილოსოფიის“ (როგორც თავად უწოდებს) პოპულარიზაციისთვის.

აღენ დე ბოტონი თავს ათეისტად მიიჩნევს, თუმცა, როგორც ერთ-ერთ საჯარო გამოსვლაში აღნიშნა, კატეგორიულად არ იზიარებს ე. წ. „ახალი ათეისტების“ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით, რელიგიას ცალსახად მავნე გავლენა აქვს საზოგადოებაზე და რომ ის აფერხებს ცივილიზაციის განვითარებას (მაგალითად, ერთ-ერთი ახალი ათეისტის, ქრისტოფერ ჰითჩენსის ცნობილი წიგნის ქვესათაურის მიხედვით, რელიგია ყველაფერს წამლავს, *God Is Not Great: How Religion Poisons Everything*).

დე ბოტონის მტკიცებით, არ არის აუცილებელი ათეისტმა ზებუნებრივი რეალობა ირწმუნოს იმისათვის, რომ სოციუმზე რელიგიის პოზიტიურ გავლენას აცნობიერებდეს. შესაბამისად, „ეს არის წიგნი იმ ადამიანებისთვის, რომელთაც არ შეუძლიათ სასწაულების, სულების თუ შეუწველი მაყვლოვანი ბუჩქის რწმენა“ (გვ. 11). ავტორის აზრით, ამათა დროის კარგვა იმის გასარკვევად, თუ რომელი რელიგიაა ჭეშმარიტი. ის ცდილობს აჩვენოს, რომ რელიგია იმ სახით, როგორცაა ჩვენ მას ამჟამად ვხედავთ, შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ურწმუნო ადამიანებისთვისაც კი. მაგალითად, დე ბოტონი მიუთითებს, რომ ადრეული ქრისტიანობა საკმაოდ წარმატებით იყენებდა გარეეკლესიური სამყაროს საუკეთესო იდეებს.<sup>1</sup> ეკლესია არც წარმართული დღესასწაულების ქრისტიანიზებაზე ამბობდა უარს. ამის ნათელი მაგალითია შობის დღესასწაული.<sup>2</sup>

1 საილუსტრაციოდ აქ დე ბოტონს შეეძლო მიეთითებინა, მაგალითად, მეოთხე საუკუნის მოღვაწის, წმინდა ბასილი დიდის მიერ ამ თემაზე შედგენილი ცნობილი წერილი „ახალგაზრდებს იმის თაობაზე, თუ როგორ მიიღონ სარგებელი წარმართული მწერლობიდან“ ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო გ. კოპლატაძემ. თბ., 2011.

2 მართლაც, არანაირი ისტორიული ცნობა არ არსებობს, რომ პირველ საუკუნეებში ქრისტიანები 25 დეკემბერს აღნიშნავდნენ ქრისტეს შობას. არსებობს ვერსია, რომ ქრისტიანებმა შობის დღესასწაული შეგნებულად დაამთხვიეს წარმართულ (სატურნალიის) დღესასწაულს მისი საბოლოო ჩანაცვლების მიზნით. ამ საკითხზე ვრცლად იხ. ჩვენი სტატია:

წიგნის დასაწყისში დე ბოტონი წერს: „მე ვიზრდებოდი მებრძოლი ათეისტების ოჯახში. ჩემი ებრაელი მშობლებისთვის ღმერთისა და სანტა კლაუსის რწმენა ერთი და იგივე იყო. მახსოვს, ერთხელ ჩემმა პატარა დამ ვარაუდი გამოთქვა, რომ, შესაძლოა, სადღაც სამყაროში ღმერთი განდევილივით ცხოვრობს. მამაჩემმა კი, ამ შეხედულების გაბათილების მიზნით, თავისი რვა წლის ქალიშვილი ტირილამდე მიიყვანა. ზოგადად, თუკი ჩემი მშობლების წრეში ვინმე რელიგიურ გრძნობებს გამოამჟღავნებდა, ეს ადამიანი ისევე ეცოდებოდათ, როგორც სასიკვდილო სენის მქონე ავადმყოფი, რის შემდგომაც ასეთ ადამიანს სერიოზულად აღარ აღიქვამდნენ“.

დე ბოტონს, ასაკის მატებასთან ერთად, სერიოზული ეჭვები უჩნდება იმ პრინციპებისა და იდეებისადმი, რომელთაც მას ბავშვობიდან უნერგავდნენ. თუმცა, როგორც თავად აღნიშნავს, ღმერთის არარსებობასთან დაკავშირებული რწმენა არ შერყევია. მას პატივისცემა და ინტერესი მხოლოდ იმ ცოდნისა და გამოცდილების მიმართ გაუჩნდა, რომელიც რელიგიურ ტრადიციებშია დაგროვილი.

წიგნის თითოეულ თავში გადმოცემულია რელიგიის პოზიტიური გავლენის აღწერა ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე, რომელსაც ყურადღებით უნდა დააკვირდეს და პატივისცემით მოეკიდოს სეკულარული სამყარო, რადგან სწორედ მისთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რელიგიურ ტრადიციებში დაგროვილი ამგვარი გამოცდილება.

პირველ თავს ავტორი უძღვნის იმ ფენომენის განხილვას, რასაც ერთობით (community) ცხოვრება ეწოდება, რომელსაც კეთილისმყოფელი გავლენა აქვს ფსიქოლოგიური, სულიერი, ემოციური, სოციალური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით: „ცხოვრობთ რა მეგაპოლისებში, ჩვენ ერთგვარ გვარ-ტომობრივ გეტოებში ვართ დატყვევებულნი. ამ გეტოებს კი განათლების, პროფესიული თუ სოციალური სტატუსის მიხედვით ვქმნით. დანარჩენი კაცობრიობისადმი კი – რომელიც ამ გეტოების მიღმა იმყოფება – არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება გვაქვს. შეუძლებლად მიგვაჩნია როგორც მათთან გაერთიანება, ისე მათი პატივისცემა“ (გვ. 23).

რელიგია კი საკმაოდ წარმატებულად ახერხებს ამგვარი ბარიერების მსხვრევას და საკუთარი წევრების კონსოლიდაციას, ერთმანეთთან დაკავშირებას. როგორც კი ადამიანი შეაბიჯებს ეკლესიაში, სინაგოგაში, თუ მეჩეთში, ყველანაირი სტატუსი უფერულდება:

თინიკაშვილი, დ. „...და მაინც, როდის იშვა ქრისტიე?“ 25 დეკემბერი 2011, ჟურნალ „ტაბულას“ ვებ-გვერდი: <http://www.tabula.ge/ge/story/57399-damainc-rodishva-qristshe> (08.30.2013).

აქ აღარ აქვს მნიშვნელობა პროფესიას, სქესს, განათლების დონეს, დაგროვილ ქონებას თუ საზოგადოებაში მოპოვებულ მდგომარეობას – რელიგიურ თემში ყველა თანაბარია, გამონაკლისის გარეშე. თეოლოგიურად თავად რელიგიური ლიდერიც მსახურია კრებულისა. უფრო მეტიც, ავტორის ყურადღების მიღმა არც შემდეგი გარემოება რჩება: „რელიგიების მცდელობა, ადამიანებში გააღვივოს ერთობის შეგრძნება (sense of community) არ ამოიწურება მხოლოდ ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირებით. რელიგია საკმაოდ გონივრულად აგვარებს ასევე იმ პრობლემებს, რომლებიც შეიძლება ამგვარ ჯგუფებში წარმოიშვას“ (გვ. 53). საუბარია პატიებისა და შერიგების უნარზე, რომელიც უცხოა სეკულარული სამყაროსთვის. ყოველ შემთხვევაში, ის მის ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენს იმგვარად, როგორც ეს რელიგიებშია. დე ბოტონის აზრით, თუ არარელიგიური ადამიანები უშუალოდ ცოდვათა მიტევების იდეას ვერ ითავისებენ, სასურველია ამგვარ პრაქტიკასთან მიახლოებული ვერსია მაინც იქნეს წახალისებული და განვითარებული, რადგან ეს აუცილებელია სოციუმის სიჯანსაღისთვის.

ავტორის აზრით, რელიგია კიდევ უფრო გონივრულად იქცევა. მართალია, ის გვასწავლის, რომ აუცილებელია ვიყოთ სულგრძელნი, კეთილნი, თავდაჭერილნი და მომთმენნი, მაგრამ რელიგიას ასევე კარგად ესმის, რომ თუკი „პერიოდულად სხვაგვარად ყოფნის ან მოქმედების ნებას არ დაგვრთავს, ის ამით ჩვენს სულელებს დააზიანებს (if they do not allow us to be or do otherwise every once in a while, they will break our spirit)“ (გვ. 63). ამის საილუსტრაციოდ კი ავტორი უთითებს შუა საუკუნეებში ქრისტიანულ ევროპაში გავრცელებულ ერთ დღესასწაულს: „[ეკლესია] ე.წ. სულელთა დღესასწაულის აღნიშვნით, კოლექტიურ ფსიქიკას ათავისუფლებდა. ოთხი დღის მანძილზე ყველაფერი თავდაყირა იდგა: სასულიერო პირები საკურთხეველში წმინდა ტრაპეზზე კამათლებით თამაშობდნენ, „ამინ“-ის წარმოთქმის ნაცვლად ვირებივით ყროყინებდნენ, შუა ტაძარში ერთმანეთს ალკოჰოლის სმაში ეჯიბრებოდნენ, ავე მარიას გალობისას აკომპანემენტის სახით ხმამაღლა აკუებდნენ... დიდი ტოლჩებით ლუდის მიღების შემდეგ საკუთარ წმინდა წიგნებს თავდაყირა აყენებდნენ, სამრეკლოებიდან შარდავდნენ, „ქორწინდებოდნენ“ ვირებზე, თეძოებზე იმაგრებდნენ ხისგან გამოთლილ უზარმაზარ პენისებს და ნებისმიერ ადამიანთან ცდილობდნენ სექსუალური კავშირის იმიტირებას“ (გვ. 63-65).

ამ დროს ადამიანები მსგავს მოქმედებებს მხოლოდ ხუმრობად და გართობად როდი აღიქვამდნენ. ეს მათთვის საკრალური აქტი, წმინდა პაროდია იყო. ავტორი ასევე მიუთითებს 1445 წელს პარიზის

უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტის მიერ შემოთავაზებულ ახსნა-განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც მსგავსი დღესასწაული ქრისტიანული კალენდრის ლეგიტიმური ნაწილია, რადგან „უგუნურებად, რომელიც ჩვენი ბუნების მეორე ნაწილი და ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, თავისუფლად უნდა გამოავლინოს საკუთარი თავი წელიწადში ერთხელ მაინც“ (გვ. 65).<sup>3</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით დე ბოტონი მნიშვნელოვან და აუცილებელ კორექციას საჭიროებს. ე.წ. „სულელთა დღესასწაული“ (ლათ. *festum fatuorum*) თავისი მკრეხელური ხასიათის გამო, ვერ იქნებოდა ოფიციალური ეკლესიის მიერ მოწონებული და, მით უმეტეს, დადგენილ-შემოღებული დღესასწაული. საეკლესიო იერარქიის მხრიდან არაერთხელ ყოფილა დაგმობილი ხსენებული ღრეობა. ამ მხრივ, თავისი შეურიგებელი პოზიციით გამოირჩეოდა ცნობილი თეოლოგი, ლინკოლნის ეპისკოპოსი, რობერტ გროსეტესტელი (+1253). აღნიშნული ჩვეულება ხალხში იმდენად ღრმად იყო ფესვგადგმული, რომ მის საბოლოო აღმოფხვრას საუკუნეები დასჭირდა. თუმცა ეკლესიის ოფიციალურ ლიტურგიკულ განწესებებში (ასეთი ხელნაწერები კი ათასობითაა შემორჩენილი) ძალზე იშვიათად ვხვდებით რაიმე ჩანაწერს, რომელიც შეიძლება დავუკავშიროთ „სულელთა დღესასწაულს“. ამრიგად, მას არ გააჩნდა არანაირი საეკლესიო ლეგიტიმაცია. უფრო მეტიც: დღესასწაული 1435 წელს ბაზელის (შვეიცარია) საეკლესიო კრებამ აკრძალა, რომელიც მოგვიანებით მხარდაჭერილ იქნა პარიზის უნივერსიტეტის თეოლოგიური ფაკულტეტის (1445) და ასევე სხვადასხვა ადგილობრივ საეკლესიო კრებათა მიერ.

ამ დღესასწაულზე ამახვილებდა ყურადღებას თავის წერილში რომის პაპი ინოკენტი III, რომელიც 1207 წელს პოლონელი არქიეპისკოპოსისადმია გაგზავნილი. აქ პაპი სხვა საკითხებს შორის, ნეგატიურად მსჯელობს ამ დღესასწაულის თავაშვებულ ხასიათზე და მორწმუნეებს მოუწოდებს, არ მიიღონ მონაწილეობა „თეატრალურ გართობებსა“ და „ნიღბებიან შოუებში“. პაპი ასევე გმობს სამღვდელთების „სკანდალურ უგუნურებას“ და „უხამს ღრეობას“, რაც ხსენებული ზეიმის განუყოფელი ნაწილი იყო.<sup>4</sup> ამ წერილიდან ეს მონაკვეთი

3 სამწუხაროდ, დე ბოტონი ამ სიტყვების წყაროს არ უთითებს, რომლებიც მას ციტატის სახით მოჰყავს. სინამდვილეში, პარიზის თეოლოგიურმა ფაკულტეტმა სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება გამოიტანა ამ საკითხზე, იხ. ქვემოთ ჩვენ მიერ დამოწმებული შემდეგი ნაშრომის სათანადო გვერდი: Gilhus, I. *Laughing Gods, Weeping Virgins: Laughter in the History of Religion*. London: Routledge 2004, გვ.86.

4 Harris, M. *Sacred Folly: A New History of the Feast of Fools*. Cornell University Press 2011, გვ. 91-92.

შემდგომ დამოწმებულ იქნა პაპ გრიგორი IX-ის დეკრეტალებშიც (Decretales 3.1.12, col. 997). ცნობილია, ასევე, მაგალითად, პაპ ინოკენტი III-ის მიერ საფრანგეთში თავისი ლეგატის, რობერტ კურსონის წარგზავნა. მისი ორგანიზებით პარიზსა (1213 წ.) და რუენში (1214 წ.) მოწვეულ იქნა საეკლესიო კრებები, რომლებზეც სამღვდლოებას აეკრძალა ამ ფესტივალში მონაწილეობის მიღება.<sup>5</sup>

სხვა მკვლევარი ამ დღესასწაულზე მსჯელობისას მიუთითებს ასევე 1445 წელს პარიზის თეოლოგიური ფაკულტეტის მიერ საფრანგეთის ეპისკოპოსებისადმი გაგზავნილ წერილზე, რომელშიც „მკაცრად იგმობოდა აღნიშნული დღესასწაული.“<sup>6</sup> მანამდე, 1199 წელს (თითქმის 250 წლით ადრე) ნოტრდამში პარიზის ეპისკოპოსიც გამოსცემს დეკრეტს „სულელთა დღესასწაულის“ წინააღმდეგ.<sup>7</sup>

შემდეგი მნიშვნელოვანი თემა, რომელზეც ავტორი ყურადღებას ამახვილებს, განათლებაა. საუნივერსიტეტო პროგრამები, ძირითადად, სტუდენტების მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისებაზეა ორიენტირებული, იქნება ეს მარკეტინგის, ბიზნესის, ქიმიის, მიკრობიოლოგიის, ჯანდაცვის თუ სხვა სფეროები. ეს ცოდნა და უნარები ტექნოკრატულ და ინდუსტრიულ საზოგადოებაში წარმატებისთვის არის საჭირო. თუმცა დე ბოტონის აზრით, არანაკლები მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, რომლებიც მთავარ როლს ასრულებენ პიროვნების ჩამოყალიბებაში, რადგან „სწორედ ფილოსოფია, ისტორია, ხელოვნება, ენა და ლიტერატურა განსაზღვრავდა განათლების გამოცდილების ყველაზე რთულ, ნატიფ და თერაპიულ ხასიათს“ (გვ. 103).

როცა ევროპაში რელიგიის საზოგადოებრივი გავლენა შესუსტდა, გაჩნდა კითხვები ცხოვრების საზრისის ძიებასთან, მორალური ორიენტირების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. არსებობდა იმედი, რომ ამ ყველაფერს უზრუნველყოფდა კულტურა. ეს ფუნქცია უნდა შეესრულებინა ფერწერულ ნამუშევრებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და ფილოსოფიურ იდეებს, რომელთა საშუალებითაც ადამიანები უფრო მეტად ჰუმანურნი და ემპათიურნი უნდა გამხდარიყვნენ. ერთი სიტყვით, კულტურას უნდა უზრუნველყო მოდერნული საზოგადოება ე.წ. „სეკულარული საკრამენტებით“ (საეკლესიო საიდუმლოებების, საკრამენტების მსგავსად).

5 Harris, M. Sacred Folly... გვ. 93.

6 Gilhus, I. *Laughing Gods, Weeping Virgins: Laughter in the History of Religion*. London: Routledge 2004, გვ. 86.

7 Gilhus, I. *Laughing Gods...* გვ. 157.

შესაბამისად, თანამედროვე უნივერსიტეტების კურიკულუმებში შეიტანეს, მაგალითად, ადამიანური შემოქმედების ისეთი მიმართულებები, როგორცაა, ლიტერატურა, რომელიც მანამდე მხოლოდ გასართობ საშუალებად ითვლებოდა „პატარა გოგონებისთვის და ახლად გამოჯანმრთელებული პაციენტებისთვის“ (გვ. 108). თუმცა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ლიტერატურა სერიოზული ანალიზის საგანი ხდება და მისგან უკვე „რთულ მორალურ გზავნილებს“ ელიან. დე ბოტონი იმოწმებს ოქსფორდის უნივერსიტეტის ლიტერატურის პროფესორის მიერ 1922 წელს წარმოთქმულ სიტყვებს, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე ეკლესიის მიერ განცდილი მარცხის შემდგომ სწორედ „ინგლისურმა ლიტერატურამ უნდა იხსნას ჩვენი სულები და ააღორძინოს ჩვენი სახელმწიფო“ (გვ. 108).

თუმცა ავტორი წუხს, რომ დღევანდელი სეკულარული სამყარო ხელოვნების ნაწარმოებებიდან რაიმე მორალური გაკვეთილების მიღებას სრულიად არასაჭიროდ და გულუბრყვილობად მიიჩნევს. ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთ-ერთი საჯარო გამოსვლისას, კერძოდ, TED-ის ტრიბუნიდან დე ბოტონი შემდეგ შედარებას აკეთებს: „თუკი თქვენ რომელიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტში მიხვალთ (მაგ. ჰარვარდში, ოქსფორდსა და კემბრიჯში) იმ მიზნით, რომ მორალის სწავლა, წინამძღოლობისა და ნუგეშის მიღება გასურთ, ანუ გინდათ იცოდეთ როგორ იცხოვროთ, მაშინ თქვენ ფსიქიატრიული საავადმყოფოს (insane asylum) გზას გიჩვენებენ, რადგან ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ამ მიზანს არ ემსახურება. რატომ? აქ სულაც არ ფიქრობენ, რომ ჩვენ ეს ყოველივე გვესაჭიროება, რადგან რაციონალურ ზრდასრულ ადამიანებად განვიხილებით. რაც ჩვენ გვჭირდება, ეს მხოლოდ ინფორმაციაა. ჩვენ მონაცემები (data) გვესაჭიროება და არა შველა (help):“<sup>8</sup>

ავტორის დაკვირვებით, შესაძლოა, თანამედროვე ადამიანი შესანიშნავ წიგნებსაც კითხულობდეს, მაგრამ არ შეეძლოს პირდაპირი და საჭირო კითხვების დასმა მათში გადმოცემულ პრობლემებზე, რადგან „გვრცხვენია ჩვენი შინაგანი მოთხოვნილებების ჭეშმარიტი ბუნების აღიარება“. ჩვენ ძალიან შებოჭილნი ვართ მოდერნისტული მიდგომით, რომლის თანახმადაც „ხელოვნების დიდ ნაწარმოებებს არ უნდა გააჩნდეს მორალური შინაარსი და აუდიტორიის შეცვლის სურვილი“ (გვ. 119).

დე ბოტონის მტკიცებით, რელიგიის მიერ შექმნილი სისტემა, რომელიც მორწმუნე ადამიანს ერთგვარ რეჟიმში ამყოფებს, საკმაოდ ეფექტური და შედეგიანია. რელიგიური ადამიანების სულიერი ცხოვ-

8 Alain de Botton. “Atheism 2.0”, *TED Talk*, July 2011, [http://www.ted.com/talks/alain\\_de\\_botton\\_atheism\\_2\\_0?language=en](http://www.ted.com/talks/alain_de_botton_atheism_2_0?language=en) (იხ. 4:21 წთ.).

რება და ღვთისმსახურება დეტალურადაა გაწერილი. აუცილებელია ადამიანი რეგულარულად იმეორებდეს მისთვის მნიშვნელოვან იდეებსა და პრინციპებს, რადგან „რასაც ჩვენ ვკითხულობთ დილის ცხრა საათზე, გვავიწყდება ლანჩის დროს და ამიტომაც საჭიროა მისი გამეორება შეზინდებისას“ (გვ. 132). ძირითადად, სწორედ ამ მიზნით შექმნეს რელიგიებმა საკუთარი კალენდრები და ცხრილები. სეკულარული სამყარო კი რატომღაც მოელის, რომ ჩვენ სპონტანურად მივაკვლევთ და გავითავისებთ ამა თუ იმ იდეას. გამეორება მოსაწყენ აქტივობად ითვლება. ამიტომ თანამედროვე სამყარო „უწყვეტად გვამარაგებს ახალ-ახალი ინფორმაციით, შედეგად კი, საბოლოოდ, ლამის ყველაფერი გვავიწყდება“ (გვ. 133).

რასაკვირველია, სეკულარულ სამყაროსაც აქვს თავისი კალენდრები, გრაფიკები და განრიგები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის შეხვედრებთან თუ „დედლაინებთან“. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ შესაბამის ტექსტებთან, ხელოვნების ნაწარმოებებთან რეგულარული მიბრუნება საკუთარი თავისუფლების შეზღუდვად მიგვაჩნია.

რელიგიის მიდგომით, არა მხოლოდ სკოლებისა და უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებში უნდა ისწავლებოდეს რელიგიის ისტორია, დოქტრინა და პრაქტიკული წეს-ჩვეულებანი, არამედ მას „საკლასო ოთახის გარეთაც გააქვს ამგვარი განათლება, მოუწოდებს რა საკუთარ მიმდევრებს ყველა გრძნობით სწავლისკენ ანუ არა მხოლოდ სმენისა და კითხვისას, არამედ სხვადასხვა სახის პრაქტიკული მოქმედებების დროსაც, იქნება ეს ჭამა, სმა, ბანაობა, სიარული თუ სიმღერა“ (გვ. 142). სხვა სიტყვებით, „რელიგია, თანამედროვე უნივერსიტეტისგან განსხვავებით, არ საზღვრავს სწავლის პროცესს დროის ფიქსირებული პერიოდით (ახალგაზრდობის წლები), გარკვეული სივრცით (კამპუსი) და ერთადერთი ფორმატით (ლექცია)“ (გვ. 161).

დე ბოტონი რელიგიის ჰუმანურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას: „რელიგიისგან განსხვავებით, ათეიზმი ადამიანური საჭიროებებისადმი ინდიფერენტულობით გამოირჩევა. ნუგეშისკენ სწრაფვა, რომელიც, მაგალითად, ღვთისმშობლის კულტის გულისგულს წარმოადგენს, რეგრესულად აღიქმება და რაციონალურ ახსნას უპირისპირდება, რითაც ამაყოფენ ათეისტები. რელიგიური თაყვანისცემა შეფასებულია როგორც სიმპტომი, რომლისგანაც რაც შეიძლება მალე უნდა განთავისუფლდნენ ზრდასრული ადამიანები“ (გვ. 173). თუმცა აღმატებულ ძალებზე, კერძოდ, ზებუნებრივ რეალობაზე დამოკიდებული მდგომარეობა ქრისტიანული თვალსაზრისით, ადამიანის სულიერი სიჯანსაღის ნიშანია. მხოლოდ ამაყი ადამიანი ცდილობს



თავისი სისუსტის უარყოფას, მაშინ, როდესაც მორწმუნე ყოველგვარი უზენესობის გარეშე აღიარებს, რომ ხატის წინაშე დამნობილი ცრემლიანი ლოცულობდა...

ავტორის აზრით, არ იქნებოდა ურიგო, თუკი თანამედროვე ქალაქის ბილბორდებზე ჯინსებისა და კოკა-კოლას რეკლამების გარდა, ურთიერთპატიების, თანაგრძნობის, ზომიერების, მაღლიერების და სხვა სათნოებების ამსახველი შესაბამისი გამოსახულებები იქნებოდა განთავსებული. სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოება უპირატესობას სხვა მოცემულობებს ანიჭებს: „მიუხედავად პანიკური შეტევებისა, რომელიც ყველაზე ხშირად დაკავშირებულია ეკონომიკურ კრიზისთან, ომებთან ან პანდემიებთან, სეკულარული სამყარო ერთგვარ ირაციონალურ თაყვანისცემას იჩენს ცვლილების სამი მთავარი მამოძრავებელი ძალისადმი: მეცნიერება, ტექნოლოგიები და კომერცია“ (გვ. 182).

დე ბოტონი ხელოვნების სფეროსაც ეხება. მისი აზრით, მუზეუმებს, თეატრებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს შეუძლიათ, უფრო სასარგებლო ფუნქცია შეასრულონ ადამიანის თვითშეცნობისა და განვითარების საქმეში. წიგნის 214-ე გვერდზე მოცემულია ერთ-ერთი საგამოფენო დარბაზის სურათი, რომლის ცარიელ კედლებზე, არც მეტი, არც ნაკლები, ინგლისური ანბანის ასოებია გამოსახული. ნუთუ უფრო საინტერესო და შინაარსიანი იდეა არ მოუვიდა თავში ამგვარი გამოფენის ავტორს? დე ბოტონი ირონიულად შენიშნავს: „... ჩვენთვის ვფიქრობთ, რომ მხოლოდ იდიოტი ან რეაქციონერი გაბედავს იკითხოს, რას შეიძლება ეს ყოველივე ნიშნავდეს. ერთადერთი გარკვეულობა უკავშირდება იმას, რომ არც შემსრულებელი და არც მუზეუმი არ აპირებს ჩვენს დახმარებას: კედელზე დატანილი ტექსტი მინიმუმამდეა დაყვანილი; კატალოგებიც ენიგმატურად არის დაწერილი. მხოლოდ მამაცი სული თუ გაბედავს აიწიოს ხელი“ (გვ. 215).

სრულიად სხვა მიდგომა აქვს ქრისტიანობას, რომლის აზრითაც ხელოვნებას, პირველ რიგში, საგანმანათლებლო და თერაპიული მიზანი უნდა ჰქონდეს: „ქრისტიანობამ ასევე იცის, რომ ნებისმიერი ტკივილი მიძიდება, თუკი ვგრძნობთ, რომ მარტონი ვართ მის წინაშე. თუმცა, როგორც წესი, ნაკლებად გვეხერხება საკუთარი მწუხარების სხვათათვის განდობა, რომელიც ხშირად შენიღბული და დაფარული გვაქვს. ამიტომ გვჭირდება ხელოვნება, რათა შევაფასოთ და გავანალიზოთ ამგვარად მიშვებულ-მიჩქმალული ჭრილობები, გავაცნობიეროთ ისინი, რაც შეუძლებელია შემთხვევითი საუბრების დროს...“ (გვ. 221).

დე ბოტონის აზრით, შესაძლებელია, მოეწყოს თანაგრძნობის, მიტევების და თავმდაბლობისადმი მიძღვნილი გალერეები. უმაღლეს

სასწავლებლებში კი ისწავლებოდეს კურსები ისეთ პრაქტიკულ საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად, ქორწინებისთვის სწორი პარტნიორის შერჩევა ლიტერატურის, ფსიქოლოგიის, ნეირომეცნიერებისა და მეცნიერების სხვა დარგებში დაგროვებული ცოდნის საფუძველზე. ავტორის აზრით, მაგალითად, მუზეუმები მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში შეიძლება გადაიქცეს სეკულარულ ტაძრებად: „მუზეუმები იმაზე მეტს უნდა ნიშნავდეს, ვიდრე უბრალოდ მშვენიერი ნივთების გამოსაფენი ადგილი, სადაც ამგვარი ნივთების საშუალებით უკეთეს და გონიერ ადამიანებად გადაქცევის მცდელობებს უნდა ჰქონდეს ადგილი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ექნება მუზეუმებს იმ პრეტენზიის გამოთქმის უფლება, რომ მათ სათანადოდ განახორციელეს კეთილშობილი, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე არარეალიზებული ამბიცია, რომ გახდნენ ჩვენი ტაძრები“ (გვ. 244).

ავტორის დაკვირვებით, ადამიანების განწყობაზე არანაკლებ გავლენას ახდენს არქიტექტურაც. ამ მხრივ, თავის ნეგატიურ როლს ასრულებს თანამედროვე, არცთუ ისე ლამაზი და ჰარმონიული დიზაინის მქონე უზარმაზარი ნაგებობანი. სამწუხაროდ, „მნიშვნელოვანი არიან ისინი, ვინც ფლობენ მიწას, აგებენ რა უსახურ შენობებს და არა ისინი, ვინც შემდეგ იძულებული იქნება, უყუროს ამ სიმახინჯეს“ – წერს დე ბოტონი.

ავტორი ვიზუალური ხელოვნებისადმი ამგვარი დაუდევარი დამოკიდებულების წარმოშობას, ძირითადად, უკავშირებს მეთექვსმეტე საუკუნეში ჩრდილოეთ ევროპაში პროტესტანტიზმის გავრცელებას, რასაც თან სდევდა მდიდრულად მორთული კათოლიკური ტაძრების კრიტიკა. პროტესტანტი რეფორმატორების აზრით, ღმერთთან ურთიერთობისთვის მხოლოდ წმინდა წერილი იყო საჭირო. ამისთვის კი საკმარისი იქნა მიჩნეული მოკრძალებული ოთახი და არა ძვირფასი თვლებით შემკული უზარმაზარი კათედრალები. სულიერება არ საჭიროებდა გარეგან ესთეტიკას. შედეგად, პროტესტანტები სპობდნენ კათოლიკური საღვთისმსახურო პრაქტიკისთვის დამახასიათებელ სათანადო ნიშნებს: ამსხვრევდნენ ქანდაკებებს, წვაგდნენ ხატებს. ტაძრების აგების პოლიტიკა რადიკალურ რევიზიას დაექვემდებარა.

1563 წელს ტრენტის საეკლესიო კრების მეშვეობით რომის ეკლესიამ განაცხადა, რომ კათედრალები, სკულპტურები, ხატები, ფერწერული ნამუშევრები და, ზოგადად, ტაძრების არქიტექტურა, მორწმუნეთა სულიერი აღზრდის „ინტეგრალური ნაწილი“ იყო. განა ქრისტიანობის ისტორიაში წერა-კითხვის უცოდინარი მრევლიც ხატებზე გამოსახული სიუჟეტების საშუალებით არ სწავლობდა ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრებას? ამრიგად, დე ბოტონის მტკიცებით,

ძალიან მნიშვნელოვანია, რას ვუყურებთ ჩვენ გარშემო, რადგან ეს ყოველივე გარდაუვალ გავლენას ახდენს ჩვენზე.

ავტორის აზრით, ვიზუალური ესთეტიკისადმი კათოლიკური ეკლესიის ამგვარი პატივისცემა-მოწიწების საფუძველი მესამე საუკუნის ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსთან, პლოტინოსთან გვაქვს მოცემული, რომელმაც მშვენიერება და სიკეთე ნათლად დაუკავშირა ერთმანეთს. მისთვის სიმახინჯე ბოროტების ნაწილია. ამრიგად, „უგვანი შენობები თავისუფლად შეიძლება აღწერილ იქნეს შემდეგი სიტყვების გამოყენებით: ბრუტალური, ცინიკური, თვითკმაყოფილი ან სენტიმენტალური. ამას გარდა, მათ არანაკლები ზიანის მოყენება შეუძლიათ, ვიდრე ბოროტი ზრახვების მქონე ადამიანებს“ (გვ. 254).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დე ბოტონის ხსენებული წიგნის მიხედვით, თანამედროვე სეკულარული საზოგადოება ღირებულებით კრიზისშია, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი სულიერი სწრაფვანი და პრაქტიკული მორალური ორიენტირები. დღეს სიტყვები „სულიერება“ და „მორალი“ სხვადასხვა სუბიექტური შინაარსით გამოიყენება, რაც ტრადიციული და ობიექტური მარადიული სტრუქტურების მორღვევა-შესუსტებამ გამოიწვია. საუკუნეების წინ რელიგია ასწავლიდა ხალხს, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ ერთმანეთს, როგორ უნდა გადაეტანათ ტკივილი და ტანჯვა... პოსტმოდერნიზმის ხანაში კი, არსად ჩანს მყარი ფუნდამენტი, რომელსაც დაეყრდნობოდა ადამიანი, სუსტი ადამიანი, რომელიც ტოტალური თავისუფლების გამო უბედურად, მარტოსულად და დაუცველად გრძნობს თავს. ასეთ ინდივიდებს დახმარება ესაჭიროებათ, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დამამცირებლად. თუკი ბავშვს უფროსების დახმარება სჭირდება, ეს არ ნიშნავს მის დამცირებას. დე ბოტონის აზრით, სავსებით დასაშვებია და აუცილებელიც, რომ რელიგია გამოვიყენოთ თერაპიული მიზნებით, არ შევხებით რა ღმერთის იდეას, რელიგიის ზებუნებრივ, მეტაფიზიკურ შემადგენელს.

აღწერს დე ბოტონის ათივე მცნება ადამიანებს შორის ურთიერთობებს ეხება. ერთსიტყვიანი განსაზღვრებით ესენია: 1. შინაგანი სიმტკიცე; 2. ემპათია; 3. მოთმინება; 4. მსხვერპლშეწირვა; 5. თავაზიანობა (რომელიც, დე ბოტონის აზრით, მჭიდრო კავშირშია ტოლერანტობასთან); 6. იუმორი; 7. თვითშემეცნება; 8. პატიება; 9. იმედი; 10. თავდაჯერებულობა.

დე ბოტონისთვის რელიგიის სათანადო გამოყენება არ ნიშნავს პიროვნების რელიგიურობის ზრდის ხელშეწყობას ან რელიგიის გავლენის ზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. პირიქით, რელიგიათა გამოცდილების გათვალისწინება სასარგებლო იქნება სწორი სეკუ-

ლარიზაციისთვის, რადგან ჩვენ, როგორც ავტორი აცხადებს, „ცუდად ვართ სეკულარიზებულნი“.

მართალია, რელიგიას დაბალი აზრი აქვს ადამიანზე, მის ბუნებაზე, რადგან მას დაცემულ არსებად განიხილავს, მაგრამ ეს ერთადერთი რეალური შეფასებაა. თითოეული ჩვენგანი კარგად აცნობიერებს საკუთარ სიმყიფეს, მსხვერველდაობას, მოწყვლადობას, თუმცა, შესაძლოა, ამას არ ვიმჩნევდეთ სხვების წინაშე, რადგან არ გვინდა დასაცინი გავხდეთ. საკუთარი სისუსტის აღიარება არ ითვლება, ასე ვთქვათ, კარგ ტონად. ასეთ შემთხვევებში რელიგიას შეუძლია ნუგეშის, იმედის, ოპტიმიზმის მოცემა, სულიერი, ფსიქოლოგიური „იმუნიტეტის“ გაძლიერება.

მეორე მხრივ, ადამიანში დამანგრეველი და ბრუტალური ძალაც იმალება. ჩვენ რეალურად მორალური მონსტრები ვართ. ეს კარგად გამოვლინდა ფსიქოლოგ ფილიპ ზიმბარდოს მიერ 1971 წელს სტენფორდის უნივერსიტეტში ჩატარებულ „ციხის ექსპერიმენტში“, რომელმაც ნათლად აჩვენა, თუ როგორ შეუძლია ადამიანს ზნეობრივი დეგრადირება სათანადო გარემოში. რელიგიას აქაც შეუძლია ჩვენი დახმარება, მას ხომ ადამიანთა გაკეთილშობილების საუკუნოვანი გამოცდილება აქვს.

დე ბოტონის წიგნის ღირსება სწორედ ეს მცდელობაა: დაენმაროს კრიზისში მყოფ თანამედროვე ადამიანს. თეოლოგიური თვალსაზრისით, წიგნის ნაკლად მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ავტორს თვალთახედვის არეალის მიღმა რჩება რელიგიის უმთავრესი ანუ პირველადი დანიშნულება, რომელიც არ არის სოციუმის თუ ინდივიდის წინაშე მდგარი კრიზისების დაძლევა ამ დროებით სამყაროში. რასაკვირველია, რელიგიის ცოდნა და გამოცდილება ამ კუთხითაც უნდა იქნეს გამოყენებული, მაგრამ რელიგიური პრაქტიკა (საკრამენტები, რიტუალები, ეთიკური ნორმები, წეს-ჩვეულებანი...), რომელსაც მხოლოდ სოციალური განზომილებისთვის სასარგებლოდ მიიჩნევს დე ბოტონი, რელიგიებში ყოველთვის ზებუნებრივი და ტრანსცენდენტური არსების ანუ ღმერთის მიმართ რწმენით იყო განპირობებული. ამ ინსტრუმენტის – რელიგიური პრაქტიკის – გამოყენებით კი ადამიანები მარადიული ცხოვრების დამკვიდრებას ცდილობენ ამქვეყნიური, დროებითი სიცოცხლის შემდგომ. სწორედ ამ მიზნით აგებენ ისინი ტაძრებს, სინაგოგებს და მეჩეთებს... სწორედ ამ მიზნით ცდილობენ ისინი, შეიყვარონ მტრები...

მაგრამ არ იქნებოდა გონივრული დე ბოტონისეული მიდგომის ამ ნაკლზე კონცენტრირება, რადგან არც წიგნის ავტორი და არც მისი პოტენციური მკითხველნი, არ არიან მორწმუნე ადამიანები (ამას თა-

ვად წიგნის სათაურიც გვაუწყებს: Religion for Atheists: A Non-Believer's Guide...). შესაბამისად, სრულიად ლოგიკურია, როდესაც ავტორი არ გვთავაზობს მსჯელობებს რელიგიის იმ ნაწილზე, რომელიც მეტაფიზიკურ რეალობას ეხება.

დე ბოტონი უსარგებლოდ აცხადებს „ახალი ათეისტებისთვის“ დამახასიათებელ რელიგიის დესტრუქციულ და ტლანქ კრიტიკას, რითაც საკუთარი კომფორტის ზონიდან გამოდის, რადგან არ უშინდება ათეისტური ბანაკიდან წამოსულ დამცინავ კრიტიკას. მართალია, დე ბოტონიც ათეისტია, მაგრამ ის, რელიგიის ფუნქციის უფრო გონივრული გააზრებით აღემატება რადიკალ ათეისტებს, რადგან მრავალწერტილს სვამს იქ, სადაც სხვები წერტილს სვამენ. როგორც მან ერთ-ერთი გამოსვლისას განაცხადა, „რასაკვირველია, ღმერთი არ არსებობს; რასაკვირველია, არ არსებობს არავითარი ღვთაება და ზებუნებრივი სულები თუ ანგელოზები. მაგრამ ნუ გავჩერდებით ამაზე. ეს არ არის ამბის დასასრული; ეს მისი დასაწყისია.“

დავით თინიკაშვილი